



აღწერა

პრაიმერი შემავსებლით პოლიმერული დისპერსიის ფუძეზე, გამხსნელების გარეშე. შესაფერისია კერამიკის კერამიკაზე დასატანად.

გამოყენების სფერო

გამოიყენება როგორც პრაიმერი გლუვი და პრიალა ზედაპირებისთვის, როგორცაა კერამიკა, ღია ბეტონი, ქვიშაქვა, მარმარილო, კლინკერი, ფანერი, ასევე შთანმთქმელი ზედაპირებისთვის, როგორცაა თაბაშირი, ბეტონი, ბათქაში, მოჭიმვა, ხე.

თავისებურებები

- ზრდის გადამშოვლობის სიმტკიცეს უხეში ზედაპირის შექმნით კერამიკის დაწებებისთვის გლუვ და პრიალა იატაკებზე.
- უზრუნველყოფს მტვრის ნაწილაკების ზედაპირზე მიკრობას და ზედაპირზე კერამიკული წებოს უკეთეს ადჰეზიას.
- მზა გამოსაყენებლად, შეიძლება დაატანოთ ფუნჯით ან ლილვაკით.
- არ შეიცავს გამხსნელებს, უსუნოა.

ზედაპირის მომზადება

- დარწმუნდით, რომ ზედაპირი მყარი და გამძლეა.
- დასამუშავებელი ზედაპირი უნდა იყოს თავისუფალი ნარჩენებისგან, როგორცაა მტვერი, ქუჩყი, ზეთი, წიდა, საღებავი, რომელიც ხელს უშლის ადჰეზიას.
- მოაცილეთ დასამუშავებელ ზედაპირს დაბზარული ბათქაში, სუსტი, არასაკმარისადგამძლე საფარები, დუღაბის და ცემენტის ნარჩენები.
- საჭიროების შემთხვევაში ზედაპირი გაასწორეთ TAMIRART სერიის პროდუქტებით და შეავსეთ ბზარები.

გამოყენების ინსტრუქცია

- პრაიმერი KALEKIM DOLGULU ASTAR კარგად აურიეთ და დაატანეთ ზედაპირს ფუნჯის ან ლილვაკის საშუალებით. არ გამოიყენოთ ნებისმიერი სახის დანამატი.
- წაუსვით ზედაპირს ორ ფენად ძლიერ შთანმთქმელ ზედაპირებზე, როგორცაა თაბაშირი, მოჭიმვა ან ბეტონი.

მოვლა და გამოყენების შემდგომი რეკომენდაციები

- გაშრობის დრო 45-60 წუთი. არ დაატანოთ მასალა პრაიმერზე, სანამ არ გაშრება.
- დასამუშავებელი ზედაპირის ტემპერატურა უნდა იყოს მინიმუმ +5°C, ზედაპირზე არ უნდა ხვდებოდეს წვიმა.
- დაიბანეთ ხელები და გარეცხეთ ხელსაწყოები დიდი რაოდენობით წყლით გამოყენების შემდეგ.
- არ არის შესაფერისი წყლის მუდმივი ზემოქმედების ქვეშ მყოფ ზედაპირებზე გამოსაყენებლად.
- მითითებული ხარჯები მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა. ხარჯი შეიძლება განსხვავდებოდეს გამოყენების პირობებისა და ზედაპირის თავისებურებებიდან გამომდინარე.
- დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ უსაფრთხოების მონაცემთა ცხრილი.

პრაიმერ გლუვი ზედაპირებისთვის



4506 Kalekim Dolgulu Astar

შენახვა

- ინახება სუფთა და მშრალ ადგილას +5°C-დან +35°C-მდე ტემპერატურაზე, მზის პირდაპირი სხივებისაგან დაცულ ადგილას, მაქსიმუმ სამ იარუსად დასაწყობების გზით.
- დაიცავით ყინვისა და არასასურველი ამინდის პირობებისგან.
- თავახდელი კონტეინერები უნდა დაუყოვნებლივ დაიხუროს, თავსახურის გარეშე დარჩენილი კონტეინერები უნდა განადგურდეს.
- შენახვის ვადა გაუხსნელ კონტეინერებში არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს.

შეფუთვა

- პლასტმასის სათლი 1 კგ, 3 კგ და 5 კგ მოცულობით.

ხარისხის სერტიფიკატი



ტექნიკური მახასიათებლები

(23°C ტემპერატურისა და 50% ფარდობითი ტენიანობის პირობებში)

ზოგადი მონაცემები

ფერი	ღია ლურჯი ფერის სითხე
ფუძე	პოლიმერების დისპერსიის ფუძეზე
სიმკვრივე	დაახლ. 1,17 გრ/სმ ³
ვარგისიანობის ვადა	გაუხსნელ შეფუთვაში მშრალ ადგილას 12 თვე

ინფორმაცია გამოყენებისთვის

სამუშაო ტემპერატურა	(+5°C) – (+35°C)
გაშრობის დრო	45-60 წუთი
ლოდინის დრო დატანის შემდეგ	მაქსიმუმ 48 საათი
ხარჯი (საშუალოდ)	100 გ/მ ² (ერთი ფენისთვის)

აქ მოცემული გამოყენების ყველა რეკომენდაცია და ინსტრუქცია ეფუძნება ჩვენს გამოცდილებას. კომპანია არ არის პასუხისმგებელი გამოყენების ყველა ფორმაზე, რომელიც დაკავშირებულია პროექტის პირობების ცვლილებასთან. აქ რეკომენდებული მეთოდები არ ათავისუფლებს მომხმარებელს პროდუქტის შესაბამისობის დადგენის პასუხისმგებლობისაგან, პროექტის დეტალების გათვალისწინებით.